

ინფლაციის საზღვარგარეთული გამოცდილება საქართველოსათვის

სალომე სულაბერიძე
სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფლაციის რეგულირების სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა საქართველოსათვის.

განალიზებულია, თუ როგორ განვითარდა ინფლაცია ჩვენთან და საზღვარგარეთ, რა იყო მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ასევე ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც პრობლემას უქმნის ქვეყნების ეკონომიკას. მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები პოლონეთის, ესტონეთისა და ისრაელის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა, ვალუტის კურსი, ექსპორტი, იმპორტი, ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება, ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი

ინფლაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, მისი რეგულირების მიზნით, საჭიროა სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნისათვის, პოლონეთში განხორციელებული რეფორმების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანი იყო, რაც უკავშირდებოდა:

➤ **საკუთარი მონეტარული სისტემის არსებობას,**

➤ **ფასების ლიბერალიზაციას,**

➤ **სამთავრობო დანახარჯების შემცირებას,** მაკროეკონომიკური ტენდენციების, კერძოდ, კი საგარეო და შიდა ფაქტორების გავლენით გაცვლითი კურსის გაუფასურებისა და ინფლაციური რისკების ზრდის გათვალისწინებით, მონეტა-

რული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად არსებითი იყო პოლონეთში მთავრობის მიერ ფისკალური (საბიუჯეტო) პოლიტიკის გადახედვის საკითხი, რაც გულისხმობდა სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას.

➤ **ექსპორტის ნახალისებას**, რადგან თუ ექსპორტი გადააჭარბებდა იმპორტს, ქვეყანაში მეტი უცხოური ვალუტა შემოვიდოდა, ვიდრე გავიდოდა. ამ შემთხვევაში, შიდა სავალუტო ბაზარზე მიწოდება მეტი იქნებოდა მოთხოვნაზე და ზლოტის კურსი გაიზრდებოდა. საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ზლოტის ყიდვითუნარიანობას.

➤ **ინვესტიციების მოზიდვა** - ინვესტიციების ზრდამ გაზარდა მოთხოვნა პოლონეთში ეროვნულ ვალუტაზე (შესაბამისად, ბაზარს მეტი უცხოური ვალუტა მიეწოდებოდა), რასაც ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება მოყვა.

„შოკური თერაპიის პროგრამა“, ჯერ პოლონეთში, შემდეგ კი პოსტ-კომუნისტურ ქვეყანებში მათ შორის, საქართველოშიც გამოიყენეს. ეკონომისტი, პოლონეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, შემდგომში ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ლეშეკ ბალცეროვიჩი ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც 1990-იან წლებში განხორციელებული შოკური თერაპიის „კლასიკური“ მაგალითის, იგივე „ბალცეროვიჩის გეგმის“ ავტორი, რომელიც გეგმიური ეკონომიკიდან ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკისკენ პოსტ-კომუნისტური გარდაქმნის ყველაზე წარმატებულ მაგალითს წარმოადგენდა ქვეყანაში წინასწარ არსებული პირობების გამო: სათანადო საჯარო ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, ადამიანის განვითარების მაღალი დონე და მსოფლიო ბაზრებთან სიახლოვე.

1989 წელს ბალცეროვიჩის გეგმის დამტკიცებიდან მოკლე ხანში ქვეყანა რეცესიამ მოიცვა: შემოსავლის დონისა და ეროვნული წარმოების კლებასთან ერთად უმუშევრობამ და ინფლაციამ საგრძნობლად იმატა, ვინაიდან წარმოების კლებასთან ერთად მოხდა სამუშაო ძალის შემცირება, გეგმიური ეკონომიკის ხელოვნური მოთხოვნა და პროდუქციის მწარმოებელი ფი-

რმების არაეფექტიანობა, მიწოდება-მოთხოვნის შეუსაბამობა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის არქონა.

წლიურმა ინფლაციამ 1989 წელს 584%-ს მიაღწია, მხოლოდ ერთ წელიწადში კი 247%-მდე შეძლო ჩამოსვლა. ეკონომიკური მაჩვენებლები 1992 წელს გამოსწორდა და პოლონეთი რეცესიიდან გამოვიდა. ევროპულ ბაზართან სიახლოვის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების შედეგად მოხდა პოლონეთის ევროკავშირთან და მის ერთიან ბაზართან ახლო ინტეგრაცია. ე.ი. შოკური თერაპია პოლონეტში წარმატებით განხორციელდა.¹

პოლონეთში განხორციელებულ შოკური თერაპიისაგან განსხვავებით აზიის ქვეყნებში: ჩინეთი (გრადუალიზმის კლასიკური მაგალითი), ვიეტნამი, უზბეკეთი, ტაილანდი, მალაიზია), ეკონომიკურ და მონეტარულ რეფორმებს ატარებდნენ შედარებით ნელი ტემპით, რაც „გრადუალიზმი“-ს სახელითაა ცნობილი.

„შოკური თერაპიისა“ და „გრადუალიზმის“ კომბინაცია კი საუკეთესო სტრატეგიაა ფულის რეფორმის განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, საინტერესოა პოლონეთსა და საქართველოში განხორციელებული შოკური თერაპიის თავისებურების შედარება.

1992 წლის თებერვალს დაიწყო საქართველოს მთავრობამ **შოკური თერაპიის** განხორციელება (რუსეთთან თითქმის ერთდროულად), რომლის წარმატების დონე შეგვიძლია განვსაზღვროთ ბალცეროვიჩის გეგმის 11 პუნქტის მიხედვით:

1). 1992 წელს განხორციელდა საშინაო ფასების მსოფლიო ფასებთან გათანაბრება გარკვეული საქონლის ფასების ლიბერალიზაციით.

2). 1991 წელს მოხდა მინიმალური ხელფასისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებების მიხედვით რეგულირება.

3). სსრკ-ს ძველი რუბლი და ახალგამოშვებული რუსული

1 ბურდული თ. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ ტომი 3. N2. ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“, 2015 წ.

რუბლი კვლავ ცირკულირებდა საქართველოში და ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი მონეტარული სისტემა.

4). 1992 წელს იყო პირადი დანაზოგების სტიმულირების მცდელობა: ფულადი დეპოზიტების გაზრდა, ჩამოფასებული დეპოზიტების გაორმაგება (თანხის გატანა შესაძლებელი იყო გაორმაგებიდან ორ წელიწადში) და მათთვის გადავადებულის სტატუსის მინიჭება. ამას მოსახლეობისგან მოჰყვა საბანკო დეპოზიტების ზრდა. თუმცა, შეუძლებელი შეიქნა მოსკოვიდან რუბლის ბანკნოტების საჭირო რაოდენობის დროული უზრუნველყოფა, რის გამოც ხელფასები და პენსიები გაიცა მოსახლეობის დეპოზიტებიდან.

5). 1992 წელს სახელმწიფომ არ შეამცირა საბიუჯეტო დანახარჯი სამთავრობო ინვესტიციების შემცირებით და 20-25%-იან ზღვარში დარჩა. სუბსიდიების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 30.1%-მდე შემცირდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა.

6). 1992 წელს გამოიცა სახელმწიფო ბონდები ყოფილი საბჭოთა კავშირის ბონდების ახალ ქართულ ბონდებად გადაქცევის მიზნით, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში არ მოხდა მათი საშუალებით სამთავრობო დეფიციტის დაფინანსება.

7). 1991 წელს დაიწყო საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის რეფორმა და ინტეგრაცია.

8). ეროვნული ვალუტის ერთიანი გაცვლითი კურსის და კონვერტულობის დანესება შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა.

9). 1992 წელს საქართველომ დააწესა საბაჟო ტარიფები: 2% იმპორტზე და 8% ექსპორტზე, რაც იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების საპირისპიროა.

10). საქართველოში ხელფასის ინდექსაცია 1991 წლიდან ხდებოდა. თუმცა, ყველა შემოსავალი ერთნაირი პროპორციით რეგულირდებოდა, შესაბამისად ღარიბთა შემოსავალი მაღალი ანაზღაურების მქონეთა შემოსავალზე ნაკლებად იზრდებოდა, და ვინაიდან ფასების ზრდა განსაკუთრებით ეხებოდა ისეთ ძირითად საქონელს, როგორიცაა პური, ღარიბები ბევრად უფრო დაზარალდნენ.

11).1992 წელს იყო მონოპოლიური საქმიანობის შეწყვეტისა და კონკურენტუნარიანობის ნაქეზების პირველი მცდელობა სამართლებრივი სახელმწიფო განკარგულებებისა და რეზოლუციების საფუძველზე. თუმცა, სახელმწიფო კვლავ აგრძელებდა საწარმოთა საქმიანობაში ჩარევას.¹

შოკური თერაპიის გატარება მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციის ხარჯზე ეროვნული ვალუტისა და დამოუკიდებელი მონეტარული სისტემის არარსებობის გამო კრახის გარეშე ვერ დასრულდებოდა, რამაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საკმაოდ შეაფერხა.

ბიუჯეტის უზომო დეფიციტის დაფინანსების ერთადერთი წყარო დამატებითი ფულის გამოშვება იყო. რუსული რუბლის მოსკოვიდან დროულად მომარაგების პრობლემური გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, გამოეშვა საკუთარი დროებითი ვალუტა „კუპონი“, რომელიც რუსული რუბლის ექვივალენტს წარმოადგენდა, იგივე ფასი ჰქონდა და გამოიყენებოდა ყველაფრის შესაძენად, გარდა იმ საქონლისა, რომლის ყიდვაც თავდაპირველადვე რუბლით ხდებოდა (მაგალითად: ბენზინი და რუსეთიდან იმპორტირებული სხვა პროდუქტი).

თუმცა, ეროვნულმა ბანკმა ვერ მოახერხა კუპონის მიმოქცევის კონტროლი და მოხდა მისი ძლიერი დევალვაცია (პურის ფასმა ხუთ მილიონ კუპონს მიაღწია), ინფლაცია კი 1993-1994 წლებში 60-70%-მდე გაიზარდა. ვინაიდან კუპონი თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა, რუბლის გამოყენება გაიზარდა.

ეროვნული ბანკის გამოუცდელობამ ნაღდი ფულის რაოდენობის და საბანკო კრედიტების ლიკვიდურობის დაკლება გამოიწვია. 1993 წელს კი რუსეთმა თავისი ბანკნოტები სრულიად გაიტანა საქართველოდან, რის შემდეგაც აშკარა გახდა საკუთარი ეროვნული ვალუტის გამოცემის აუცილებლობა.

1993-1994 წლებში ეკონომიკური განვითარება შეფერხდა

1 პაპავა ვ, „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში (პოლონეთის ეკონომიკა)“, გამომცემლობა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობა კვლევის ფონდი“ თბილისი, 2002, გვ. 12-14. <http://www.nplg.gov.ge>.

არასწორი ეკონომიკური რეფორმებისა და კრიმინალური და სამხედრო მდგომარეობის გამო. ამასთან, მასიურმა არალეგალურმა ქმედებებმა და შავმა ბუღალტერიამ შეუძლებელი გახადა სანარმოებში კაპიტალის მოძრაობისთვის თვალყურის დევნება, რამაც ეკონომიკური უკუსვლა გააძაფრა. საქართველოს საგარეო ვალმა \$1 მილიარდს მიაღწია.¹

1995 წელს საქართველოს ეროვნული ბიუჯეტი ორი წლის „შესვენების“ შემდეგ პირველად დამტკიცდა. ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო ის, რომ არ მოხდა დამატებითი ფულის გამოშვება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, რაც შესაძლებელი გახდა, მსოფლიო ბანკისა და დონორი ქვეყნების დახმარებით: დანახარჯების მხოლოდ 47% იქნა დაფარული გადასახადებით, დანარჩენი 53% კი – ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული ხორბლის და ფქვილის მონეტიზაციით.

პოლონეთის გამოცდილება გვასწავლის, რომ ეკონომიკური რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი ფაქტორი ინფლაციის რეგულირება იყო, რაც გამომდინარეობდა: ფასების ლიბერალიზაციაში, პერსონალური დანაზოგების სტიმულაცია დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით, საბიუჯეტო ხარჯის კლებით, არამომგებიანი ბიზნეს - წამოწყებებისთვის სუბსიდირების გაუქმებით, ეროვნულ ვალუტაზე ერთი გაცვლითი კურსის და საშინაო ბაზარზე მისი კონვერტულობის დაწესებით, ინვესტიციების მოზიდვით.

სამთავრობო პოლიტიკისა და განსაკუთრებით პოლონეთის ცენტრალური ბანკის ეფექტიანი და ქმედითი ღონისძიებების შედეგად, პოლონეთის ზლოტი კონვერტირებული, მყარი და საიმედო ვალუტაა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მრავალმილიარდიანი უწყვეტი ნაკადით განხორციელდა პოლონეთის მიმართულებით, რისი შედეგია პოლონეთის 1995 – 2016 წწ მაღალი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის კეთილდღეობის თვალშისაცემი გაუმჯობესება.

1 ბურდული თ. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ ტომი 3. N2. ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე,

ინფლაციური პროცესების რეგულირების შესწავლაში მნიშვნელოვანია, არამართო პოლონეთის გამოცდილების შესწავლა, არამედ **პოსტკომუნისტური** ქვეყნებიდანაც, მაგალითად **ესტონეთის სავალუტო რეფორმის** გაზიარება.

1918 წელს ესტონეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 1940 წელს კი, მეორე მსოფლიო ომის დროს, ის საბჭოთა კავშირმა დაიპყრო. ესტონეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საბჭოთა იმპერიიდან დაღწევა სცადა და 1991 წელს, 50 წლიანი ოკუპაციის შემდეგ, კვლავ თავისუფლება მოიპოვა.

ქვეყანაში კომუნიზმის დასასრულს ნამდვილი ქაოსი მოჰყვა. მაღაზიები სულ დაცარიელებული იყო და რუსულ რუბლს არავითარი ღირებულება აღარ ჰქონდა. 1992 წლისთვის სამრეწველო პროდუქციამ 30 პროცენტით იკლო, გაცილებით მეტად, ვიდრე 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის დროს. რეალური ხელფასები 45 პროცენტით შემცირდა იმ დროს, როდესაც ინფლაცია 1 000 პროცენტს აღწევდა და საწვავის ფასებმა 10 000 პროცენტზე მეტით აიწია.¹

ესტონეთში პირველი რეალური რეფორმა 1992 წლის ზაფხულში გატარებული სავალუტო რეფორმა იყო. სავალუტო რეფორმის მომხრეები სამ რამეს ისახავდნენ მიზნად: ინფლაციის ზეგავლენის აღმოფხვრა, მოთხოვნა-მიწოდებაზე დაფუძნებული განონასწორებული სავალუტო კურსის გარანტია და ნაღდი ფულის კრიზისის დაძლევა.

ესტონეთმა სავალუტო რეფორმა 1992 წლის ივნისში დაიწყო, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან პირველმა შემოიღო საკუთარი ვალუტა. სავალუტო სისტემის დახმარებით ესტონური კრონა გერმანული მარკით იყო გამყარებული და პირველივე დღიდან სრულად კონვერტირებადი. გაცვლის კურსის ისეთ მყარ ვალუტასთან მიბმამ, როგორც გერმანული მარკა იყო, ესტონეთის ეკონომიკისადმი ნდობა აღძრა. მაგრამ სავალუტო სისტემა რომ სარგებლიანი ყოფილიყო, ესტონეთს ბიუჯეტიც უნდა დაეხმარებინა.

1 ახოზაძე ბ. „ესტონეთის ეკონომიკის სასწაული“, ინტერნეტიდან სტატია, 2002 წ. <http://www.nplg.gov.ge>

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში პირველი „შოკური თერაპია“ ფასების გათავისუფლება იყო, ესტონეთში კი - 1992 წლის ბიუჯეტის დაბალანსება. ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრაზე აგებული პრიორიტეტი არა მარტო ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით იყო სწორი, არამედ პრაქტიკულად უიმედო მდგომარეობიდან გამოსავლის ერთადერთ გზას წარმოადგენდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები მიუთითებდა, რომ სავალუტო რეფორმა წარმატებას ვერ მიაღწევდა თუ ბიუჯეტი მკაცრად არ გაკონტროლდებოდა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა ესტონეთმა უპირველეს ამოცანად დაისახა. ამ მიზნის მიღწევა სავალუტო პოლიტიკას, ვალუტის კურსის ხელოვნურად შეკავების მკაცრად შეზღუდვას და დაბალანსებულ ბიუჯეტს გულისხმობდა. მკაცრი ფინანსური შეზღუდვების პირობებში მთავრობა უფრო იოლად წყვეტდა, როგორ უნდა ემოქმედა. მთავრობას მხოლოდ ხარჯების შემცირებით შეეძლო ბიუჯეტის დაბალანსება, რადგან არც ფულის დაბეჭდვა შეეძლო და ვერც სხვაგვარად გაზრდიდა ფულის მასას. ბიუჯეტის დასაბალანსებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სესხი შესთავაზა, მაგრამ მთავრობამ გადაწყვიტა ესტონეთის მომავალი რადიკალურ რეფორმებზე აეგო და არა სესხებზე.

1993 წელს ამ ღონისძიებათა პირველი შედეგები გამოჩნდა. მაკროეკონომიკური ვითარება დასტაბილურდა. 1992 წელს თუ ინფლაციის დონე 1000 პროცენტს შეადგენდა 1993 წელს ის 89.8 პროცენტამდე ჩამოვიდა, 1995 წელს კი - 29. ეკონომიკამ აღმოსავლურიდან დასავლურისკენ აიღო გეზი და ექსპორტი სწრაფად გაიზარდა. ამ სასიკეთო ძვრებმა რეფორმის მეორე ეტაპზე გადასვლის დიდი შესაძლებლობა მისცა- ესტონეთი ხანგრძლივი რეალური განვითარების გზაზე დააყენა.¹

ესტონეთის მცირე, ღია ეკონომიკა ისტორიულად ვაჭრობაზე იყო აგებული. საბაზრო ეკონომიკაზე უმტკივნეულოდ და

1 ახოზაძე ბ. „ესტონეთის ეკონომიკის სასწაული“, ინტერნეტიდან სტატია, 2002 წ. <http://www.nplg.gov.ge>

სწრაფად გადასასვლელად ღია ეკონომიკას ბევრი უპირატესობა გააჩნია. ღია პოლიტიკა გამჭვირვალე გარემოს ქმნის, რაც მწარმოებლებს ბაზარზე აშკარა ორიენტაციის საშუალებას აძლევს.

ამასთანავე, ესტონეთმა სატარიფო და არასატარიფო ბარიერები შეამცირა და ყველა საექსპორტო შეზღუდვა გააუქმა. ღია პოლიტიკა მეტად წარმატებული აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუწყო კონკურენციას, რეკონსტრუქციას და ეკონომიკურ ზრდას. ასეთმა პოლიტიკამ ბევრი ახალი ფირმა შესძინა ესტონეთს, რომლებმაც ახალი, ექსპორტზე ორიენტირებული ქარხნები გახსნეს.

გაუქმდა ზოგიერთი უცხოელი ინვესტორის განსაკუთრებული პრივილეგიები, რამაც სტიმული მისცა სხვა ინვესტიციებს. მაღევე, 1993-94 წლებში, ესტონეთი, რომელსაც მანამდე უცხოელი ინვესტორები სულ არ იცნობდნენ, ყურადღების ცენტრში მოექცა. მთავრობა სისტემატურად ზრუნავდა ესტონეთის რეპუტაციის ამაღლებაზე, რამაც აგრეთვე ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების ზრდას.

ამის შედეგად, 1990-იან წლებში ესტონეთმა ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი უცხოური ინვესტიცია მიიღო, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანამ. უცხოური ინვესტიციების დიდმა ნაკადმა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა განაპირობა, მოხდა ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია, ახალი ცნობიერება და ახალი ტექნოლოგიები შემოვიდა და ესტონეთი უფრო თანამედროვე და უფრო კონკურენტუნარიანი გახდა.

ესტონეთის მაგალითი გვასწავლის, რომ ვალუტის სიმყრესა და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციის მიღწევა შესაძლებელია წარმოების და ინვესტიციების ზრდით, ვაჭრობის განვითარებით, რაც მიღწეული იქნა: საკუთრების დაცულობით, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებით, წარმოების ნახალისებით, საინვესტიციო გარემოს შექმნით, კორუფციის აღმოფხვრით, კანონის უზენაესობის დაცულობით, მთავრობის გუნდის ერთსულოვანი ძალისხმევითა და მონდომებით. აღნიშნული ფაქტო-

რები არის, მნიშვნელოვანი საქართველოში ლარის მაღალი ყიდ-
ვითუნარიანობის მისაღწევად.

ესტონეთის ეკონომიკური რეფორმების გაზიარების გარდა, საქართველომ ბევრი უნდა ისწავლოს ისრაელის ეკონომიკური განვითარების გამოცდილებიდანაც. ქვეყანა, დაარსების დღი-
დან მოყოლებული დღემდე, ტერორიზმს ებრძვის და ფაქტობ-
რივად, მუდმივად საომარ მდგომარეობაშია, მაგრამ ამის მიუ-
ხედავად, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონეა, აქვს
მყარი ვალუტა.

განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება ისრაელის
ანტიინფლაციური პოლიტიკა, რაც მოიცავს:

- **1985 წლის ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამას;**
- **მონეტარული პოლიტიკა**

1985 წლის ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა - მიუ-
ხედავად ისრაელის ქრონიკული ინფლაციისა, პოლიტიკოსები
ამტკიცებდნენ, რომ მაღალი ინფლაციის დროს ცხოვრება შე-
საძლებელი იყო, ფინანსური სტაბილურობის ხელშეშლის გა-
რეშე. მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ნათელი
ხდებოდა, რომ მიუხედავად მონინავე ინდექსაციის მექანიზმი-
სა, შეუძლებელი იყო თავიდან აეცილებინათ ინფლაციის დაჩქა-
რება, რამაც საბოლოოდ ჰიპერინფლაციურ მდგომარეობამდე
და ფინანსურად არასტაბილურ გარემომდე მიიყვანა ისრაელი.

საფინანსო და სავალუტო კრიზისის გამო რთული გახდა
მთავრობისთვის სესხის აღება, თავისი დიდი ფისკალური დე-
ფიციტის დასაფინანსებლად. საბოლოოდ 1985 წელს ისრაელ-
ში ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა დაიწყო, რომლის
მიზანიც გადახდების დაბალანსება იყო. სტრატეგია ეფუძნე-
ბოდა იმას, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა
შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე – ფისკალური
დისციპლინა და სინქრონულად დაფიქსირებული სხვადასხვა
ნომინალური ცვლადები (გაცვლითი კურსი, ხელფასი და სა-
ბანკო კრედიტი) ერთობლივად ხორციელდება. ამას მოსდე-
ვდა ფისკალური დეფიციტის შემცირება, ხარჯვის შემცირე-
ბის ხარჯზე. ამასთან ერთად ხელფასისა და ინდექსაციის სხვა

ხელშეკრულებები დროებით შეჩერდა, ფასებთან ერთად. ხელისუფლების ზენოლით 1985 წლის ივლისში დამსაქმებელ ორგანიზაციებსა და დასაქმებულებს შორის დაიდო სახელფასო ხელშეკრულება, რომელიც მასიურ უმუშევრობას უშლიდა ხელს და რომელმაც შექმნა სტაბილური ნომინალური ხელფასი. ამ რთული გარდამავალი პერიოდის დროს საბანკო კრედიტები სასტიკად იყო შეზღუდული.

ამ ეკონომიკურმა „შოკურმა მკურნალობამ“ სამი წლის განმავლობაში ინფლაციის 20 %-მდე ჩამოსვლა მოიტანა და ერთ-ნიშნა განაკვეთს 1990-იან წლებში მიაღწია.

მონეტარული პოლიტიკა - 1990-იანი წლების ისრაელის ბანკის სტრატეგია გულისხმობდა, რომ მონეტარული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ფასების სტაბილურობის ხელშეწყობა. ბევრი ბიზნესმენი ამტიცებდა, რომ სტრუქტურული მიზეზების ან „ნომინალური არაელასტიურობის“ გამო ეს გზა არ იყო გამოსადეგი ისრაელში ფასის სტაბილიზაციის მისაღწევად. მათი თქმით დაბალი ინფლაციის დონე მისაღწევი იქნებოდა მხოლოდ მისი ლატენტიურობის შემთხვევაში. ისინი ამბობდნენ რომ დაბალი ინფლაციის დონე შესაძლებელია მხოლოდ დიდი საბიუჯეტო დეფიციტით და დაბალი საიმპორტო ტალღით.

შედეგებზე დაყრდნობით, ახალი ეკონომიკური სტრატეგიის შედეგი იყო ძალიან ნაყოფიერი. 2005 წლისთვის ისრაელმა მიაღწია ფასების სტაბილურობის იმ დონეს რომელიც მისაღები იყო მაღალგანვითარებული ბაზრებისთვის. უცხოური სავალუტო ბაზარიც კარგად ფუნქციონერებდა შედარებით შეზღუდული, გავრცელებით და მცირე ცვალებადობით.

ისრაელის ბანკი მონიტორინგს უწევდა სავალუტო ბაზარს მაგრამ არ ერეოდა მის ფუნქციონებაში. ახალი შეკეული ისრაელის შიდა ვალუტა (2006 წელს შემოიღეს) გახდა სრულიად კონვერტირებადი.¹

წინსვლისას, ისრაელის მონეტარული პოლიტიკის ყველაზე დიდი გამოწვევაა საზოგადოებაში ცენტრალური ბანკის სა-

1 სტატია ინტერნეტიდან - თავისუფალი ენციკლოპედია, „ებრაელე-ბი“, <https://ka.wikipedia.org>

ნდობის გამყარება, რათა უზრუნველჰყოს ფასების დასტაბილურების გაგრძელება.

შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი, წარმატებული მონეტარული პოლიტიკისათვის იყო ინვესტიციების როლი სტაბილური სავალუტო კურსის შესანარჩუნებლად. უწყვეტი ინვესტიცია ტექნოლოგიურ და სამეცნიერო გამოკვლევებში არის ის მიზეზი, რომ დღეს ისრაელი წარმოჩენილია, როგორც განვითარებული სახელმწიფო. ტექნოლოგიური ზრდა გახდა ისრაელის მთავარი ეროვნული მამოძრავებელი, ვინაიდან მათი ბაზარი ძალიან მცირე იყო და გაზრდილმა ექსპორტმა აამოძრავა ეკონომიკა.

დასკვნა

კვლევაში განხილული ინფლაციის რეგულირების პოლონეთის, ესტონეთისა და ისრაელის მაგალითები ცხადყოფს, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა და მყარი ვალუტის ქონა შესაძლებელია, სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით.

პოლონეთის გამოცდილება გვასწავლის, რომ გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ითვალისწინებდა სხვა მნიშვნელოვან საკითხების რეგულირებასთან ერთად მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციასაც, რაც გულისხმობდა ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციასა და კაპიტალის თანდათანობით გახსნას.

სავალუტო კურსის სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უცხოური ინვესტიციების შემოდიდება იყო, კერძო ინდუსტრიებისა და ვაჭრობის სტიმულაცია, რამაც უმუშევრობის დონის კლება და შემოსავლის დონის ზრდა გამოიწვია. სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში ლარის ყიდვითუნარიანობის მისაღწევად.

საინტერესოა **ესტონეთის მაგალითიც**. კერძოდ, 2000 წლის დასაწყისში ესტონეთის დაბალმა გადასახადებმა, სტაბილურმა მაკროეკონომიკურმა გარემომ და ადამიანურმა რესურსებმა მიმზიდველი პირობები შექმნა უცხოური პირდაპირი თუ პო-

რტფელური ინვესტიციებისთვის. ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, ესტონეთში პოლიტიკური ციკლები მისსავე რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მცირე რყევებს განიცდის, სავალუტო კურსის სტაბილურობას კი ამ ქვეყანამ ევროს შემოღებით მიაღწია.

ისრაელის მაგალითი კი ცხადყოფს, რომ სწორედ ეკონომიკურ ზრდა, წარმოების განვითარება, ექსპორტის ზრდა განაპირობებს ვალუტის ყიდვითუნარიანობას, რაც ქართულ სინამდვილეშიც იქნება გარანტი მონეტარული სტაბილურობისა.

კვლევაში აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია ინფლაციის რეგულირებაში, იმისთვის, რომ ლარის კურსმა მცირე შოკებს მაინც გაუძლოს და გრძელვადიან პერიოდში სტაბილური გახდეს, საჭიროა საქართველოს რაც შეიძლება მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი ჰქონდეს, გაიზარდოს პროდუქტიულობა და ინვესტირება. ამისთვის კი საჭიროა უკეთესი ბიზნესგარემო, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სტაბილური პოლიტიკური გარემო.

ლიტერატურა:

1. ახოზაძე ბ. „ესტონეთის ეკონომიკის სასწაული“, ინტერნეტიდან სტატია, 2002 წ. <http://www.nplg.gov.ge>

2. ბურდული თ. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ ტომი 3. N2. ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“, გამომცემლობა „საქართველოს ეროვნული ბანკი“ 2015 წ;

3. პაპავა ვ, „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში (პოლონეთის ეკონომიკა)“, გამომცემლობა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობა კვლევის ფონდი“ თბილისი, 29 დეკემბერი 2001 წელი 8 იანვარი 2002 წელი პერიოდში. თბილისი, 2002, გვ. 12-14. <http://www.nplg.gov.ge>.

4. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება, მაკროეკონომიკური ანალიზისა

და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილების ბროშურა. „სავალუტო ინტერვენციები: არსი და საერთაშორისო გამოცდილება“, გამომცემლობა „საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი“, 2015 წ.

5. სტატია ინტერნეტიდან - თავისუფალი ენციკლოპედია, „ებრაელები“, <https://ka.wikipedia.org>

References:

1. Akhobadze B. „Economic miracle of Estonia“, paper from the Internet, 2002, <http://www.nplg.gov.ge>

2. Burduli T. Journal „Economy and Banking“ Volume 3. N2. Economic transformations in Georgia: The way from shock therapy to deep and all-encompassing free trade zone“, publishing house „National Bank of Georgia“ 2015.

3. Papava V, „The state in transition period (Polish economy)“, publishing house „Foundation for Georgian Strategy and the International Relations“ Tbilisi, December 29, 2001 January 8, 2002 period. Tbilisi 2002, pp. 12-14. <http://www.nplg.gov.ge>.

4. Budget office of Georgian Parliament, Budget analysis division, Macroeconomic analysis and tax policy division, brochure. „Exchange rate intervention: essence and the international experience“, publishing house „Budget office of Georgian Parliament“, 2015.

5. Paper from the internet – free encyclopedia, „the Jewish people“, <https://ka.wikipedia.org>

INFLATION FOREIGN EXPERIENCE FOR GEORGIA

Salome Sulaberidze,

PhD Student of Batumi

Shota Rusatveli State University

RESUME

The paper deals with the importance for Georgia to consider the experience of other countries with inflation regulation.

Development of inflation in our country and abroad, its major causing factors as well as its negative results causing problems for the country's economy are analyzed in the paper. The problem resolving ways and recommendations are backed by examples of Poland, Estonia and Israel.

Key words: national currency, exchange rate, import, inflation, devaluation of a currency, investments, economic growth.